საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტ. სამოქალაქო პარტია — მთავარი კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2000 მან.

№ 135

სამშაბათი, იანვარი 31

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიულ ორგანიზაციებს

ვინაიდან გაზეთი „ტრიბუნა" სავსებით გადადის საკუთარ მეურნეობაზე პარტიულ ორგანოებს ევალებათ სასწრაფოდ გაასწორონ გაზეთის ანგარიში რედაქციასთან.

ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა საქართველოს პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაზეთი ღირს 45.000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 2000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

## გენუა

მთელი მსოფლიოს ყურადღება ამ ჟამად გენუისაკენ არის მიპყრობილი. სულ ერთი თვის წინად გარდინგის და მუშათა მოძრაობის პოლიტიკურ კარლიკის—ჰომპერსის—სამშობლოში—ვაშინგტონში სამსოფლო კრება იპყრობდა ყველასი ყურადღებას. ჯერ კიდევ არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმის ვაშინგტონს, რომ კანნაში ანტანტის უმაღლესმა საბჭომ არსებითად უკმაყოფილება გამოთქვა ვაშინგტონზე და ახალ კონფერენციისაკენ მიუწოდა მსოფლიოს.

უეჭველია გენუის კონფერენცია საგულისხმო ისტორიული ეპიზოდი იქნება კაპიტალიზმის დეგენერაციის ისტორიაში. კაპიტალისტურ მსოფლიოს ამ ჟამად მხოლოდ ერთი უმთავრესი ლოზუნგი შერჩა—ეკონომიურ-ფინანსიურ კონსტრუქციის აღდგენა. ამ ლოზუნგით ვერსალში დაიწყეს მუშაობა, გაიარეს პარიზი, ბრიუსელი, ვაშინგტონი და დღეს იგივე ლოზუნგი უმთავრესი მოტივია გენუის კონფერენციისა.

1918 წლიდან მსოფლიოს ბურჟუაზიამ ვერ შესძლო ხსენებულ პრობლემის გადაჭრა. ომში გამარჯვება საკმაო არ ყოფილა ცხოვრებაზე გამარჯვებისათვის. შესძლებენ თუ არა იგივე სახელმწიფოები გენუაში ისტორიულ კრიზისის განკურნვას?

რასაკვირველია, გენუა არა ჰგავს არც ერთ კონფერენციას, 1918 წლის შემდეგ მოწვეულს ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მიერ. აქ უკვე თავს იყრიან სახელმწიფონი, რომელთაც ანტანტა ყურადღების ღირსად არ სცნობდა. დღეს გენუა შესანიშნავი ილუსტრაცია დებულებისა, რომ დამარცხებულ და რევოლუციონურ ქვეყნების იზოლაციის ძალა ბურჟუაზიას აღარ შესწევს. გენუაში სურს ბურჟუაზიას დაიგოს პოლიტიკურ კომბინაციის ქსელი და ურთიერთისადმი დათმობით შექმნას კულტურის აყვავების პირობები.

მთელი თანამედროვე კრიზისი იმ ერთ ზედაპირის არ არის, რომ ლიკვიდაცია შეიძლებოდეს პოლიტიკურ კომბინაციებით. მართალია, გენუა კომპრომისია ბურჟუაზიის მხრივ, ის რეფორმაა ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობაში, მაგრამ მთელი შინაარსი და სული გენუის კონფერენციისა გამსჭვალულია მამონის მსახურების გრძნობით, იგი ლოიდ ჯორჯის ზოგად პრინციპებს ვერ მოშორდება, იგი ვერ უარყოფს ეკონომიურს კულტურაში კაპიტალისტურ სისტემას. თანამედროვე კრიზისი კაპიტალისტურ სისტემის კრიზისია და არა პოლიტიკურ კომბინაციათა. ამიტომ ამ კრიზისის განკურნვა შესაძლოა მხოლოდ კაპიტალიზმის გაუქმების ნიადაგზე, სოციალისტური პოლიტიკის პრინციპებით, რომელსაც—არა თქმა უნდა—დათმობის გზაზე შემდგარი ბურჟუაზია ვერასოდეს მიიღებს.

რევოლუციონურ ქვეყნების მონაწილეობას გენუაში დიდი, მეტად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ეს ახალი ხვრელია ბურჟუაზიის ჯაჭვში. გენუას შემდეგ ყოველი კონფერენცია იქნება პოლიტიკური ბრძოლის მეტად რთული ფაზისი. რევოლუციონური ქვეყნები სისტემატიურად გააფართოვებენ თავიანთ გზებს, თავიანთ სისტემას, თავიანთ პოლიტიკას.

ხსენებული აქტი ძალიან სწევს რევოლუციურ ქვეყნების ავტორიტეტს, მათ გავლენას საზოგადოების ყველა სფეროში. ბურჟუაზიულ კონფერენციებში მონაწილეობა ბურჟუაზიულ მსოფლიოს პარლამენტის და ტრიბუნის გამოყენებაა. გენუა ამ მხრივ საერთაშორისო რევოლუციის დიდი მონაპოვარია.

ჩვენ არ შეგვიძლია ამ პაწია წერილში დაახლოვებით მაინც ამოვწუროთ გენუას მნიშვნელობა. საქართველოსათვის, ქართველ ხალხის პოლიტიკის ძიებისათვის მას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. ჩვენი გაზეთი შეეცდება ამ ისტორიულ საკითხს უფრო დაწვრილებით მიუდგეს და შეაფასოს იგი.

მავრი.

## მემარჯვენე ფედერალისტების „გაბედული ოპოზიცია".

4.

განვლილი ხანა მდიდარ მასალას იძლევა სწორი პოლიტიკის საწარმოებლად შემდეგში. სამწუხაროდ, მემარჯვენე ფედერალისტები თავის მხრივ ერთს საკითხსაც არ აყენებენ ამ მხრივ, რომ სერიოზული კამათით, საკითხები გავარკვიოთ.

მთელი მათი შემოქმედება არის მხოლოდ ინსინუაცია. იძულებული ვართ ამ ინსინუაციებსაც გაუწიოთ ანგარიში.

1. გაზეთისათვის „სოციალისტ-ფედერალისტი"-ს სახელის დარქმევა. ჩვენ ესეც შანტაჟად ჩაგვითვალეს, რასაკვირველია სრულიად უსამართლოდ. კიდევ აღვნიშნავ, გასაოცარია რომ, ყველაფერი გადმოაქვთ პირადად ჩემზე! თუმცა ჩვენს პარტიაში არასოდეს ისე კოლექტიურად, კოლეგიურად და მასსების თანხმობით არ გაკეთებულა, როგორც ჩვენს დროს, კერძოდ გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტის" შესახებ ინფორმაცია შემდეგია. იგი დაარსდა 1919 წელს პარტიულ „მუშათა კავშირის" მეთაურობით, რომელიც გმობდა „სახალხო საქმის" გაუბედავ ოპოზიციას. გაზეთის ხელმძღვანელად მე ვიყავი პირველ ხანად. გადატრიალების მომენტში „მუშათა კავშირში" და მის პრეზიდიუმში უმრავლესობა მემარცხენენი იყვნენ და დღესაც არიან. აი ამათი სია: ერ. სტ. ტოროტაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, დათიკო მელაშვილი, ვასო პაატაშვილი, პეტრე ახალკაცი და სხ. აღნიშნული პირები უმთავრესი და პირდაპირი ხელმძღვანელნი იყვნენ „მუშათა კავშირი"-სა, რომელმაც [illegible] გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი". ყველა ხსენებული ამხანაგები ეხლაც ჩვენთან არიან და გაზეთიც ვინც [illegible] ტფილისში იყო, მათი დასტურით გამოიცა. მთავარი კომიტეტი, რომელიც დღეს ასე უტიფრად გვიხსენიებს მუდამ შორს ბრძანდებოდა ამ ორგანოსთან, იქ უმთავრესად თავს იყრიდა მთავარ კომიტეტით უკმაყოფილო ელემენტები და გაზეთში მოთავსებული წერილები სავსებით იგივეა, რაზედაც აგებულია მთელი ჩვენი ეხლანდელი შემოქმედება. ასეთია საქმის მთელი ვითარება და გვიკვირს ეხლა, რომ ამასაც უპატიებს მთავარი კომიტეტი, რომელსაც იგი არასოდეს ეკუთვნოდა.

2. კონფერენცია. კონფერენციის საკითხში ყოველი პწკარი მემარჯვენე ფედერალისტებისა—სიყალბეა. მემარჯვენეები აცხადებენ, რომ კონფერენციას დაესწრო 135 დელეგატი, ესე იგი 28,500 კაცის წარმომადგენელი. ნუ თუ დასამტკიცებელია ვისთვისმე, რომ ჩვენს პარტიას არასოდეს ჰყოლია ოცდარვაათასი წევრი? მარტო ტფილისს რვა ათასამდე ხმა ქონდა. განა ასეთი სიყალბით შედგენა კონფერენციისა შესაძლებელია? მემარჯვენე ფედერალისტებმა ჩაიდინეს მთელი რიგი სიყალბე. მაგალითად: არ არსებობდა მასწავლებელთა ორგანიზაცია, მაგრამ კონფერენციაზე ასეთი გამოიყვანეს, არ არსებობდა სახელმწიფო დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაცია—ასეთიც გამოიყვანეს. ჩვენ გვქონდა ერთმანეთთან დადებული პირობა, რომ არ არსებული ორგანიზაციები კონფერენციაში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. ამას გარდა, კონფერენციაში მონაწილეობის ნორმა უნდა განსაზღვრულიყო წინა კონფერენციების ნორმით. ყოველივე ეს პირობა მემარჯვენეებმა ფეხქვეშ გათელეს და ყოველი თანამოაზრე გადელეგატეს, მათ კი უნდა გამოერკვიათ მანდატის სისწორე! პირადად მე კონფერენციაზე თავიდანვე განვაცხადე ეს საერთო თაღლითობა, უკანონობა, განვაცხადე რამდენჯერმე კატეგორიულად და ისიც დავუმატე—თუ ეს ერთად ერთი კონკრეტი მოთხოვნილება არ იქნება დაცული, ჩვენ არ დავკმაყოფილდებით ჩვენი [illegible] მარტო ოქმში შეტანით. ამგვარად ჩვენ კონფერენცია გამოვაცხადეთ უკანონოთ თავიდანვე, ბოლო იგი არ დავტოვეთ მაშინვე იმიტომ, რომ ჩვენ განზრახვა გვქონდა, რითაც დაგვჯდომოდა მოხსენება გაგვეკეთებინა დროებითი მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებ; ეს მოხსენება გავაკეთეთ და დავტოვეთ კონფერენცია 52 დელეგატთან ერთად და არა 28 დელეგატით, როგორც ამას მემარჯვენეები ამბობენ.

**ხიზანიშვილის მორიგე.** ეხლა უნდა შევეხოთ მხოლოდ საპირადო კამპანიას. რა ვქნათ. არ შევეხებოდით ამ სიგლახეს, მაგრამ რაკი ამით შესაძლებელი ხდება ზოგიერთის ფიზიონომიის შესწავლა ეს მოთმინებაც უნდა გამოვიჩინოთ.

ლასხიშვილი-მდივნის ჯგუფი სწერს: თედოს „მეხთატეხმა ბედმა „პოლიტიკოსობა" არგუნა და ყველა პარტიაც კი მოატარა. ამ სიარულის დროს იგი ყოველთვის ფულს მიუჩოჩდებოდა ხოლმე და მის რწმენას მარცხნივ, მარჯვნივ, მაღლა თუ დაბლა ყოველთვის წყაული ლითონით ასწევ-დასწევდა. ეს ყველამ იცოდა..." და სხ. (გვ. 24).

რა უნდა ვსთქვა ამ საზიზღარი ის შესახებ? შვიდი წლის განმავლობაში პასუხისმგებელი გამგე ვიყავი ძველი მთავარი კომიტეტის მინდობისა. მე მეგონა, რომ ჩემთვის უსაზღვრო იყო ნდობა კომიტეტისა, მეგონა რომ პატიოსნად ვმუშაობდი, მეგონა, რომ პარტია, როცა ის უდიდეს საქმეებს მანდობდა, როგორც პარტიაში, ისე დამფუძნებელს კრებაში. ყველა მთავარს საქმეებში და კომისიებში მგზავნიდა, მეგონა, რომ პარტია ამას გულწრფელად სჩადიოდა, თურმე იგი პარტია, ყველა ძველი მეთაურები მიყურებდა, როგორც ქურდს, გაიძვერას, უსინდისოს. პარტიის ყველა კონფერენციებზე მე გამოვდიოდი პასუხისმგებელ წარმომადგენლად, მაკისრებდნენ უმძიმეს მოხსენებებს, ურთულეს საკითხებს, თითქმის არ ყოფილა შემთხვევა სერიოზული რეზოლიუციები შემემუშავებინოთ უჩემოდ—თურმე ზურგში ყველა მასხარად მიგდებდა, თურმე ყველა ისინი თაღლითობდნენ, თურმე ყველას კაცუნად მივაჩნდი!

მაგრამ ამ თვალთმაქცობის შემდეგ ნუ თუ ჩვენ უფლება აღარ გვაქვს გკითხოთ: თქვენ რაღა ყოფილხართ? თუ თქვენ იცოდით ყოველივე ჩემი უმსგავსოებე,—რადა ითმენდით ამ უმსგავსოებას 7 წლის განმავლობაში? თუ ჩემში სიბილწეს ხედავდით,—რათ მოდიოდით ჩემს ოჯახში, როგორც საკუთარს ოჯახში, რად მქონდა თქვენი ოჯახის კარები ღია?

ყოველს სამეურნეო საქმეში ჩემი პირადი სურვილის წინააღმდეგ, უფრო ხშირად პარტიის კატეგორიული დავალებით და ბრძანებით ვმუშაობდი. ამ მუშაობის დროს ჩემი მხნეობა (რა ვქნა, რომ ამაზედაც იძულებული ვარ ვილაპარაკო.), ჩემი სიფხიზლე მუდამ საწინდარი იყო ყოველივე დავალების სინდისიერად შასრულებისა. ყოველი კონფერენცია, ყოველი კრება, მუდამ ჩემი მუშაობა ყველასათვის აშკარა იყო და მოწონებული. ყოველივე ბოროტმოქმედების საშინელი მდევნელი პირველყოვლისა მევე ვიყავი, რომელიც ვწმენდდი ასეთ ელემენტებიდან, როგორც პარტიას, ისე მის ორგანოებს: ამ მუშაობაში არა ერთი პასუხისმგებელი პარტიული მუშაკი და თანამშრომელი გამიკრავს სამარცხვინო ბოძზე! დღეს კი, ყველაფერი ეს დავიწყებულია და ლაფში მსვრიან ისე, რომ არც ბრალდებას არ მიყენებენ, არც ერთს კონკრეტულ ნაკლს არ მითითებენ. რაა ყოველივე ეს? ნუ თუ პასკვილის შედგენის უნარიც დაკარგეს მოწინააღმდეგეებმა?

მაგრამ პასკვილიანტებს უნდა უთხრათ: რასაც ჩემი მისამართით განაცხადებენ, ყოველივე ეს ჯერ უნდა გაავრცელონ გიორგი ლასხიშვილზე და სამსონ ფირცხალავაზე, როგორც პირებს, რომელთანაც ერთად ყველ საქმეში ვმუშაობდი და მხოლოდ შემდეგ წამოაყენონ ჩემი პიროვნება.

მაგრამ ყოველივე ეს განა პასკვილიანტებს მოაგონდებათ? ისინი ფსევდონიმებს ქვეშ იმალებიან და მხოლოდ ტალახით უნდათ ჩვენი გაშავება. ამ ტალახიანტებს მხოლოდ მინდა შევეკითხო: ნუ თუ აღარ გრცხვენიათ თქვენი ჰუჰყის და სიბინძურის?

შემდეგ გინებით აღსავსე წიგნაკში მოყვანილია ჩემი ბარათები ფილიპე მახარაძესადმი, ბ. ბაბინეიშვილისადმი. რ. კალაძესადმი და სხვა. მემარჯვენე ფედერალისტებ ვერ წარმოუდგენიათ, თუ როგორ ვუწოდებთ ჩვენ მათ ამხანაგოთი, ძმობით, თქვენით და ასე მიმართვას. თურმე ესეც ჩემი დანაშაული ყოფილა: მართლა, რომ საკვირველი ხალხი ხართ მემარჯვენენო, განა თქვენ მენშევიკებთან ასეთივე ენით არ ლაპარაკობდით? ნუ თუ ასეთი წვრილმანიც საწიგნაკო მასალად იყო გამოსაყენებელი? თურმე კერძო წერილებში უნდა გვეწერა: მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო, პატივცემულო, ას ივან პეტროვიჩ და სხვა!!

თედო ღლონტი.

ხელოვნების სასახლე
სერგიევის ქუჩა № 13.
სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო.
ხუთშაბათს, თებერვლის 2-ს.
ია ეკალაძე
ქართული ლიტერატურის ტრიბუნა.
დასწრება ყველას შეუძლიან,
შესვლა უფასოა.
დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

## ცოტა რამ დრამატიულ ხელოვნების შესახებ

(დასასრული).

ჩვენ მოგვეზრდა არაბუნებრივი თითქმის სასაცილო მოქმედებ-მოძრაობა და ყვირილი აქტიორისა და ჩვენ მოვითხოვთ მისგან თვის გრძნობათა და შთაბეჭდილებათა გამოხატვად ისე, როგორც ხდება ეს რეალურ ცხოვრებაში.

მაშასადამე პრინციპიალური განსხვავება ძველსა და ახალ დრამათა შორის მდგომარეობს იმაში, რომ წინად უმთავრეს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმ გარეშე ეფექტს დრამისას, რომელიც სწარმოებდა გმირის გარეშე. თანამედროვე დრამაში კი ამის მსგავსი არაფერი ხდება. სცენა აღარ არის უკვე ცხოვრების მასწავლებელი, კათედრა, საიდგან აქტიორი გაჰკიოდა ცრუპათეტიკური პათოსით გაზეპირებულ უაზრო ფრაზებს. სცენა გახდა არეულ ადამიანის სულის შინაგან ძალთა ჭიდილისა.

ტფილისის საგუბერნიო ცეხში ხ ნგრძლივი მუშაობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი

# სეით ანტონის ძე რაზმაძე

რასაც მწუხარებით ვაუწყებთ მის მეგობრებს, ნათესავებს და ნაცნობებს მიცვალებულის დაობლებული ბიძაშვილი ამბაკო მიხეილის ძე რაზმაძე. მიცვალებული ასვენია ქვაშვეთის ეკლესიაში, აქედან სადგურში გასვენება მოხდება სამშაბათს, იანვრის 31-ს ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. გარდაცვალებულს ამავე დღეს წაასვენებენ რაჭაში და იქ, სამშობლო სოფელში (ზედა შავრა) მიაბარებენ მიწას.

---

თანამედროვე სცენა უკვე გასცილდა პრიმიტიულ საზღვრებს, იგი შეიჭრა ჩვენი ცხოვრების და სულის მიუვალ ინტიმურ ადგილებში. გადაგვიშალა წინ ახალი ჰორიზონტები, ახალი სასიცოცხლო პერსპექტივები, აგვიხსნა ადამიანის სულის პსიხოლოგიური მოვლენანი და თვალწინ გადაგვიშალა მთელი მისი სიღრმე და ხიფათიზე. აქედან ცხადია: თანამედროვე ხელოვნება უყენებს მსახიობს გაცილებით მეტ მოთხოვნილებებს ვიდრე ძველი დრამა. თანამედროვე აქტიორი უკვე აღარ არის თამამი ჟანგლიორი—რომელიც თავის ხელმარჯვეობის და რიხიან პათოსის წყალობით ფურორს ახდენდა იმ დროინდელ ბალაგანებში. ამგვარად ყოველივე ზემოთქმულიდან ჩვენ დავინახეთ, რომ მთელ ძველი დრამის ხარუქტურა თავისი ყალბი და ცრუ ტრაგიზმით, ჟანგლიორული პათოსით აქტიორს უხშობს ხულის მოძრაობის გზას და გარეგნულ რახს აჩვევს მხოლოდ.

თანამედროვე აქტიორი კი, უნდა აკმაყოფილებდეს ერთს უმთავრეს პირობას, ეს პირობაა—ინტელიგენტობა. წმინდა სპეციფიური ინტელიგენტობა, რომელსაც საფუძვლად უდევს იდუმალი გრძნობა ინდივიდუალურ პსიხიურ მოვლენათა განსხვავებულ შემეცნება. თუ აქტიორს სურს მიაწვდეს მიზანს, მან უნდა შესძლოს მიუხვდეს და შეიმეცნოს ავტორის აზრს მან უნდა დაივიწყოს, რომ იგი ესტრადაზეა, რომ იგი აქტიორია და იმ წამს სავსებით გარდიქმნას იმ ინდივიდუმათ ამა თუ იმ ტიპის გამოხატვის დროს.

მხოლოდ მაშინ შესძლებს იგი სავსებით თავისუფლად თამაშს და ეს თავისუფლება თითქმის უმთავრესი ელემენტთაგანია თანამედროვე აქტიორის თამაშში,.. მართალია... თავისუფლობაზე მომაგონდა რაც ხდება მაგალითად ასე: აქტიორი რომელის ძალიან მოქმედება სახლში, გარედ, რესტორანში—თავისუფალია-ბუნებრივია; სცენაზე კი ხელფეხ შებორკილს ჰგავს ან რადგან ეცნაურ არაბუნებრივად დაიწყებს სიარულს და მოძრაობას, თითონ კი სხვა და სხვა სცენათა განცდათა დროს პირად ცხოვრებაში სხვა გვარად მოქცევა და სხვა ქესტიკულიზაციას ეჩვენოდა ვინც სცენაზე. რად უნდა ხდებოდეს ასე? თითქმის ყოველი თანამედროვე დრამა იპოვის გამოძახილს აქტიორის სულში, განადგიძებს მასში იმ გრძნობებს, რასიცელთაც იგი განიცდიდა თუ სავსებით ისეთს არა, ყოველშემთხვევაში მსგავს მაინც. განვაგრძოთ—რად შვრება ასე: მაგალითად აქტიორს სურს წარმოსთქვას სიტყვა; მიყვარხარ. იგი გაირტყამს გულში მუშტს და გაკიანურებულის ხმით ღმუის: „მე შენ მიიყვარხარ". განა თავის პირად ცხოვრებაში სავსებით ბუნებრივად არ იტყოდა? შეუძლებელია ძლივს გასაგონი ჩურჩულითაც წარმოეთქვა იგი. ანდა „მეზიზღები" თქმის დროს თავგამეტებული გველივით სისინებს, ადგილების ცნებათა აშლას ძალს უცნაურად და იწყებს თვალების პრაწვას—ასე კი არავინ არ შვრება.

ეჰ, რამდენი ასეთი რად და რისთვის შეიძლება ჩამოვთვალოთ აბსოლიუტური სიმართლე. აქტიორის თამაშში—ან თანამედროვე დრამის მოთხოვნილება.

არა, მე სრულებით მიდევლობაში არა მაქვს გუშინწინდელი ნატურალიზმი, რომლის მიზანი იყო იდეალურის სისწორით, მოვლენათა ყველა წვრილმანის გამოსახვა.

სრულებით არ არის საჭირო აქტიორმა სავადმყოფოებში იაროს სიკვდილის და შეშლილის სიცილის გამოსახატავად... რადგან ყველა თავისებურად და სხვადასხვანაირად კვდება და იცინის. შემოქმედებითი პროცესი მსახიობისა მე ასე მაქვს წარმოდგენილი, მან რამოდენიმეჯერ უნდა გადაიკითხოს დრამა, სანამ შეიგნ-შეიმცნებს ავტორის აზრს, ვიდრე მკვდარ ასოთა და სიტყვათა გროვა არ გარდიქმნება მისთვის ცოცხალ სურათად და თავს არ იგრძნობს მოქმედ პირთა შორის და ამის შემდეგ გახდება იგი დრამის ცენტრად.

დრამატურგისა და აქტიორის დამოკიდებულება—მაყურებლისადმი ისეთი უნდა იყოს, რომ მაყურებელმა უნდა მიიღოს გამოხატული—ვით ფაქტი რეალური. ამის მისაღწევად სრულებითა არაა საჭირო ყოველ წვრილმანის—ფოტოგრაფიული დასურათება, ის უფრო ანელებს—ასუსტებს განცდას და ყურადღებას—პირიქით რეალური შთაბეჭდილება გაძლიერდება აბსოლიუტურ გულწრფელობით, სინამდვილით, სადაობით და ცხოვრების ანარეკლის სცენაზე სინამდვილით გადატანით და არა უთავბოლო თეატრალობით.

მაშასადამე—ინტელიგენტობა, სინამდვილე და გულწრფელობა—აი პრინციპიალური პირობანი თანამედროვე აქტიორისა. უამისოდ აქტიორი—ხელოსანი იქნება და არა ხელოვანი, უფრო კი ბაზარა.

მხოლოდ კითხვაა? როგორ უნდა მივაღწიოთ ამ უმთავრეს პირობათა რეალიზაციას... პასუხი—ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სკოლით და კიდევ სკოლით...

ამ მხრივ ჩვენი აქტიორის ბედი, თვით ქართულ თეატრის დაარსებიდან, უბედურია... თითო-ოროლას გარდა ქართველმა მსახიობმა არ იცის სკოლა. ეს მოვლენა მომაკვდინებელია ჩვენი მსახიობისათვის, ხელოვნებისათვის. აქედან კულტურისაც. უკულტურო ერი კი ცოცხალი ლეშია და ვინც კი დაინტერესებულია საქართველოს კულტურის აყვავებაში, მან უნდა აუცილებლად იზრუნოს ჩვენი მომაკვდავ დაავადებულ თეატრის გამოცოცხლება-გაჯანსაღებისათვის. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ქართველი აქტიორის განინტელიგენტებით. უკანასკნელი კი სკოლით!

ამ ბოლო ხანებში სათანადო წრეებში ლაპარაკია სახელმწიფო დრამატიულ სკოლის დაარსებაზე—ეს ახალგაზრდა ქართველი მსახიობის—სურვილის ასრულებაა, თუ კი გამართლდა! იმედი უნდა ვიქონიოთ, იგი შესაფერის ნაყოფსაც გამოიღებს! მას დაეწაფება ქართველი ინტელიგენტური ახალგაზრდობა ხელოვნების სამსახურად მოწოდებული—თუ კი მას ექნა შესაფერისი სულიერი საზრდო. ქართველი მსახიობი ნიჭიერია, გამოიღებს მაქსიმუმს ენერგიის შემოქმედებისას და რამდენიმე ხნის შემდეგ ქართული თეატრი გახდება ჩვენი ერის სიამაყეთ!

ალ. მიქელაძე

---

# ახალი ამბები

— **კოოპერატივთა გაერთიანება.** ორშაბათს 30 იანვარს ცეკავშირის შენობაში მოწვეულია თათბირი ყველა ცენტრალური კოოპერატივების, რომელნიც არსებობენ საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში. განზრახულია, რომ ტფილისში შეიქნეს „საორგანიზაციო კომიტეტი კოოპერატიულ ორგანიზაციათა გაერთიანებისათვის.

— **ქალაქის მილიციის კლუბი.** უერთდება ცენტრალურ მუშათა კლუბს.

— **ფოსტა-ტელეგრაფის კურსები.** თებერვლიდან ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის მიერ გაიხსნება ფოსტატელეგრაფის კურსები.

— **ბუღალტერის კურსები.** „განზრახულია ბუღ ლტერიის კურსების" გახსნა ქართულ და რუსულ ენაზე.

— **„საქართველოს კოოპერაცია".** ამ დღეებში ცეკავშირის გემი „საქართველოს კოოპერაცია" გაემგზავრა სოხუმში და ნოვოროსიისკში საქონლის გასაცვლელად აფხაზეთისა და ყუბანის კოოპერატივებთან.

— **პროფტექნიკური განათლება.** რკინის გზელთა პროფკავშირისაგან გახსნილია კურსები შემდეგ 5 პუნქტში, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, შორაპანში და ხაშურში.

— კურსები დაასრულა 300 კაცმა. ტფილისში გახსნილი იყო ცეცხლის მქრობელთა კურსები, რომელმაც მოგვცა 17 სრულიად მომზადებული ცეცხლის მქრობელი. პოლიგრაფიულ კურსებზედ მუშაობს 12 კაცი. ელექტრომექანიკურზე 22, მეტალისტების, ბუღალტერიის, მანქანაზე მბეჭდავების და სტენოგრაფიის კურსებმა მოგვცა 180 მუშა.

განათლების კომისარიატის მიერ გამოცემულია კურსებისათვის 217,5 მილიონი მანეთი.

— ვალიუტის კურსი ბათომში 25 იანვარს (ათას მანეთებში):

| | | |
|---|---|---|
| სტერლინგი | — | 1260 |
| ფრანგული ფრანკი | — | 26 |
| იტალ. ლირა | — | 13 |
| ოსმალეთის ქაღ. ლირა | | 210 |
| ოქრო (10 მ.) | — | 1480 |
| ოქრო (ლირა) | — | 1260 |
| დოლარი | — | 305 |
| გერმანული მარკა | — | 1,6 |

— უცხოეთის ვალიუტის კურსი ტფილისის კერძო ბირჟაზედ 29 იანვარს (ათას მანეთებში):

| | ყიდვა | გაყიდვა |
|---|---|---|
| სტერლინგი | 1470 | 1480 |
| ფრან. ფრანკი | 29 | 30 |
| იტალ. ლირა | 17 | 18 |
| ოსმ. ქაღ. ლირა | 245 | 246 |
| ოქრო (10 მან) | 1700 | 1710 |
| „ (ლირა) | 1460 | 1470 |
| დოლარი | 345 | 348 |
| გერმანული მარკა | 2,8 | 3 |

— პარიზის ბირჟა 25 იანვარს:

| | |
|---|---|
| ლონდონი | 52,2 |
| ნიუ-იორკი | 12,37 |
| ბერლინი | 5,75 |
| ბუქარესტი | 9,5 |

— **ხრულიად საქართველოს განათლებისა და ხელოვანთა პროფკავშირის 1 ყრილობა.** 30 იანვარს ჩამოვიდა სხვა და სხვა კუთხეებიდან 80 დელეგატი.

— **არჩევნები საბჭოებში.** ზუგდიდიდან საარჩევნო კომისია ტელეგრაფით იტყობინება. 26 იანვარს მოხდა არჩევნები. დაესწრო 2000 მეტი ამომრჩეველი. არჩეულია 11 დეპუტატი, მათ შორის 3 მემარცხენე სოც.-ფედერალისტი, დანარჩენი კომუნისტები.

— **შაქარი.** საინტერესო ცნობები შეკრებილია საზღვარგარეთული ვაჭრობის და შაქრის შესახებ. ფუთი შაქრის ფასი სტამბოლში შილინგით, უდრიდა: 1921 წ. აპრილში 14,5, მაისში 13,5, ივნისში—13,2, ივლისში—12, აგვისტოში—11,3, ოქტომბერში—13,2 ნოემბერში—13,7 დეკემბრის პირველ ნახევარში—10, მეორეში—10,8 და იანვარში 8,7.

თითქოს სჩანდა რომ, ამავე სიგნეზე ფასებზე ფასები მანეთებში, უნდა შეფარდებით შეცვლილიყო, მაგრამ ტფილისის მანეთის კურსით უცვლელად ყოველდროულად დიდდებოდა მაგალითად: აპრილში ფუთი შაქარი სტამბოლში ღირდა 86275 მ. მაისში 123187 მანეთი, ც ივნისში—172920 მანეთი, ივლისში—211980 მანეთი, აგვისტოში—238605 მანეთი ოქტომბერში—213470 მ. ნოემბერში—300715 მან დეკემბრის პირველ ნახევარში 405860 მან. მეორეში—526392 მ. და ხუთ იანვარს 598125 მ.

ტფილისში ფუთი შაქარი ღირდა (ათასებში): აპრილში—466; მაისში—900. ივნისში 960, ივლისში—931, აგვისტოში—576, ნოემბ.—535 ოქტ.—440, დეკემ. პირვ. ნახ.—607,6, მეორე ნახევარში—942, ხუთ იანვარს—1200, და 18 იანვარს—850, თურქული ლირა ამავე დროში ღირდა (ათასებში) აპრილში—18,25, მაისში—32,8, ივნისში—68,5, ივლისში—75,3 აგვისტოში—80,6, ოქტომბერში—85,5 ნოემბერში—97,5, დეკემბრის პირვ. ნახ.—119,7, მეორეში—149,4, იანვრის 5—220, და იანვრის 18—225.

ამავე დროს შაქრის შემოტანა ბათომში ფუთობით, დიდდებოდა: აპრილში შემოტანილია 473, მაისში—4570, ივნისში—6981, ივლისში—17042, აგვისტოში—38578, სექტემბერში—66199, ოქტომბერში—85137, ნოემბერში—147147 და დეკემბერში—171623.

# რუსეთი

**მოსკოვი.** 10 იან. იანვრის ბოლო რიცხვებში ნიუ-იორკიდან ნოვოროსიისკში მოელიან 5 გემს პურით (40,000 ტონს). 3 მილ. ფუთი რიგიდან და რეველიდან იქნება შემოტანილი. პეტროგრადის ნავთსადგური, როგორც შესძლებს მუშაობას, (ყინვების გამო მუშაობა შეჩერებულია) პურის მიღება დაიწყება პეტროგრადიდან.

**მოსკოვი.** 28 იან. 27 იანვრამდე მოსკოვის საბჭოში არჩეულია 181 დეპუტატი, ამ რიცხვში 163 კომუნისტია, 18 უპარტიო, „სულ არჩეულია 806 დეპუტატი მათ შორის 730 კომუნისტია და 75 უპარტიო.

**მოსკოვი** 29 იან. ხარბინიდენ გვატყობინებენ, რომ იაპონიის ცნობით კაპელევსკის არმია საბაროვსკის რაიონში ყოველ მხრივ შემოკრულია პარტიზანული რაზმებით. თვითონ ხაბაროვსკთან დაბანაკებულია რუსეთ-ჩინეთის წითელი ნაწილები.

**მოსკოვი** 28 იან. ჟენევაში გაიხსნა საერთაშორისო კომიტეტის თათბირი რუსეთის დამშეულთა დახმარების შესახებ. თათბირზე დაესწრნენ მრავალრიცხოვანი ორგანიზაციების წარმომადგენელნი სხვა და სხვა ქვეყნებიდან. რომლებიც აღნიშნავენ, რომ 19 მილიონ რუსს უქადის სასწრაფო შიმშილით სიკვდილი.

# უცხოეთი

**ტოკიო.** 23 იანვარი. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ იაპონიამ გადასწყვიტა გაიყვანოს ჯარი ციმბირიდან.

**ნაუენი.** 23 იანვარი. ვენაში მოხდა დიდი დემონსტრაცია. დემონსტრანტები თხოულობდნენ პურის დარიგებას დამშეულთათვის. დემონსტრაცია შეჩერდა პარლამენტთან. გამოწვეული იქნა ჯარი. მდგომარეობა გართულებულია.

**რომი.** 27 იანვარი. მინისტრი დელატორეტი მიემგზავრება პარიზში, თათბირი ანტანტის სახელმწიფოთა მინისტრების შესდგება 1 თებერვალს.

**ჰანნოვერი.** 28 იანვარი. რუსეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი საზონოვი აცხადებს, რომ იგი გამოაქვეყნებს მემუარებს, რომელშიაც მთელი სიცხადითა და ძიუდგომლობით დაახასიათებს დიპლომატიურ და სამხედრო საქმეებს, რომელიც მომხდარა ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში.

# სტუდენტთა დღე ტფილისში

მეოთხე წელი შესრულდა, რაც ქართველ სტუდენტთა ტრადიციულ დღეთ იანვრის 26 შეიქმნა. ყოველ წელს ეს დღე დიდ კულტურულ ზეიმს წარმოადგენს საქართველოში.

ამ დღეს, თითქოს, ყოველთვის ქრებოდა ხოლმე სტუდენტობაში მისი მრავალ სახიანი პოლიტიკური ფერები და ერთ მთლიან კორპორაციას წარმოადგენდა, რომ ამ ტრადიციულ „დღეში" პოლიტიკური ხასიათის დისონანსი არ შეეტანა, ვინაიდან თვით 26 იანვარი არ წარმოადგენს რომელ მე პოლიტიკური აქტის დღესასწაულს.

რამდენადაც ეს დღე ასეთია ავისი განსაკუთრებული სპეციფიური თვისებით, იმდენადვე ბუნებრივია სტუდენტთა ფსიხოლოგიური გაერთიანება ამ დღის გაგების დროს. ვინც იცნობს ქართველი ინტელიგენციის აზროვნების ისტორიას, მისთვის ცხადი უნდა იყოს —რომ ახალგაზრდობაში საზოგადოთ და, კერძოთ სტუდენტობაში, პოლიტიკური ერთფეროვნება არას დროს არ ყოფილა; არას დროს არ ყოფილა ჩვენი მოზარდი თაობა, როგორც მთლიანი ერთეული, ერთი რომელიმე პოლიტიკური მიმდინარეობის მდგარი, არამედ მას ყოველთვის ახასიათებდა პოლიტიკურ-სოციალური მიმინების და კრიტერიის სხვა და სხვაობა, როგორც ... სტუდენტის დღე ... ლიკურული დღესასწაული, ყოველივე ამ სხვა და სხვაობას ადგილს უთმობდა დროებით საერთო საქმე და სტუდენტობას საერთო ადლუმის ერთფეროვან მონაწილედ ხდიდა.

წელს „სტუდენტთა დღე", სამწუხაროთ, ვერ ქმნიდა ქართველ სტუდენტობაში ტრადიციულ სულიერი გაერთიანების ტენდენციას, რაც აუცილებლად საჭირო იყო ამ დღის, როგორც ეროვნულ-კულტურული ზეიმის, გაგებისთვის. სტუდენტობის ერთმა ნაწილმა არ იზეიმა ეს მარტოოდენ მისი (სტუდენტობის) დღე,

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ერთი ნაწილი დეტულობდა მონაწილეობას, ეს „დღე" შესაფერისად ჩატარდა. ლამაზი იყო საკონცერტო განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობდნენ საოპერო თეატრის საუკეთესო ძალები: ბოკოვა სტაროსტინა, ზალიპსკი, ინაშვილი, შარაშიძე და სხვა. ბალეტიც კარგად ჩატარდა.

აღსანიშნავია მუშათა ხოროც თავისი მოხდენილი და სამხიარულო არიებით.

ამ დღისათვის ტრადიციულად ყოველ წლიურად, გამოდის სტუდენტთა ორგანო „სტუდენტის დღე" წრევანდელი გაზეთი შინაარსით უფრო მდიდარია ვიდრე წარსული.

ამ დღის მოსაწყობად დიდი მუშაობა სწარმოებდა და ამ ნამუშევრის შედეგები და დღის ანგარიშები ამ მოკლე ხანში გამოქვეყნდება.

გ. თ—ძე.

# თეატრი და ხელოვნება

**ბალეტი „ანცი".**

როგორც იქნა ვიხილეთ ახალი დადგმა. სულ სხვა საკითხია, რამდენად გამართლებულია არჩევანი და, რამდენად კარგი იყო მოქ. პოჟეცკაია მთავარ პარტიაში, მაგრამ ახალი დადგმა მაინც დროული იყო, რადგან სახელმწიფო ბალეტის რეპერტუარმა ყველას თავი მოაწყინა. მოქ. მორდკინი აუცილებლად პირველ ხარისხოვანი მსახიობია, ხორეოგრაფიული ხელოვნებაც უმაღლეს წერტილამდე აიყვანა და მით უფრო სწორედ საკვირველია, რომ „კორნავალის" „ჟიზელის" და „კოპელიას" ვერ გასცილდა. ბალეტზე კი დიდი თანხა იხარჯება. აქ უეჭველად დიდ როლს ასრულებს ის სუბიექტიური გარემოება, რომ სახელი გადიქცევა ამა თუ იმ მოთამაშეს და ამავე დროს ნაკლები ყურადღება ექცევა ბალეტის რეპერტუარის მხრივ განახლებას, იდგმება „კავალერიის სადგომი" „ანცი" და არ სჩანს კლასიკური ბალეტი ჩაიკოვსკის, გლაზუნოვის, რისთვის არ ეღირსა სცენას ადგილობრივ კომპოზიტორების თუ გინდ ვახვახიშვილის და არაყიშვილის ბალეტი? რისთვის კორიდებილებში არ სჩანან პერინის სახელმწიფო ბალეტო შკოლის მოწაფენი, რომელმაც მოგვცა ისეთი ნიჭიერი მოცეკვავე, როგორც სემიონოვა? აგრეთვე აუცილებელია ხორეოგრაფიის ეტიუდების რეპერტუარის განახლება და მათ რიცხვში ადგილობრივ საცეკვაობის შეტანა, დასრულებულ სახით შესრულებული ლეკური, დავლური, უზუნდარა, ოსური და სხვ. მეტად ლამაზი იქნება და საერთო ინტერესსაც გამოიწვევს.

რა თქმა უნდა მოხდენილია თამაშში მოქ. მორდკინი, კარგია—მოქ. ტულინი სცენაზე თავისუფლად გრძნობს თავს, მაგრამ ნაკლები მოხდენილია მოქ. პოჟეცკაია. კარგია მოქ სერგეევიც.

სასურველია დადგმულ იქნას ჩაიკოვსკის „გედის ტბა", გლაზუნოვის „დიონისის უქმე" ვახვახიშვილის ბალეტი. ამათი დასადგმელად არის ძალები და გაცილებით მეტ საინტერესო მასალას წარმოადგენს, ვიდრე ის უმნიშვნელო ბალეტები, რომელთაც ახლა ვხედავთ.

პ. ბ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.